პერსონალური მონაცემების დაცვა

თამარ ქალდანი

თემა 2. პერსონალური მონაცემები და მათი კატეგორიები

- პერსონალურ მონაცემთა განმარტება;
- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები;
- მონაცემთა დამუშავება;
- ძირითადი ტერმინები.

ძირითადი განმარტება

პერსონალური მონაცემი *არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს.*

იდენტიფიცირება პირდაპირ

იდენტიფიცირება არაპირდაპირ

მაგალითად: საიდენფიკაციო ნომრით, ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით.

დეპერსონალიზაცია

მონაცემთა იმგვარი მოდიფიკაცია, რომ შეუძლებელი იყოს მათი დაკავშირება მონაცემთა სუბიექტთან ან ასეთი კავშირის დადგენა არაპროპორციულად დიდ ძალისხმევას, ხარჯებსა და დროს საჭიროებდეს.

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები

- *პირის რასობრივი ან ეთნიკური კუთვნილება;*
- *პოლიტიკური შეხედულებები;*
- *რელიგიური ან ფილოსოფიური მრწამსი;*
- *პროფესიული კავშირის წევრობა;*
- *ჯანმრთელობის მდგომარეობა;*
- *სქესობრივი ცხოვრება;*
- *ნასამართლობა, ადმინისტრაციული პატიმრობა, აღკვეთის ღონისძიების შეფარდება, საპროცესო შეთანხმების დადება, განრიდება, დანაშაულის მსხვერპლად აღიარება ან დაზარალებულად ცნობა;*
- *ბიომეტრული და გენეტიკური მონაცემი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიცირება ზემოაღნიშნული ნიშნებით.*

! **საფრთხე:** ზიანი, დევნა და სხვაგვარი დისკრიმინაცია.

ტერმინთა განმარტება

მონაცემთა სუბიექტი - ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის პერსონალური მონაცემებიც მუშავდება.

ბიომეტრიული მონაცემი - ფიზიკური, ფსიქიკური ან ქცევის მახასიათებელი, რომელიც უნიკალური და მუდმივია თითოეული ფიზიკური პირისათვის და რომლითაც შესაძლებელია ამ პირის იდენტიფიცირება (თითის ანაბეჭდი, ტერფის ანაბეჭდი, თვალის ფერადი გარსი, თვალის ბადურის გარსი (თვალის ბადურის გამოსახულება), სახის მახასიათებელი)

გენეტიკური მონაცემი - მონაცემთა სუბიექტის უნიკალური და მუდმივი მონაცემი გენეტიკური მემკვიდრეობის ან/და დნმ-ის კოდის შესახებ, რომლითაც შესაძლებელია ამ პირის იდენტიფიცირება;

პერსონალური მონაცემების დამუშავება

მონაცემთა დამუშავება
პერსონალური მონაცემების მიმართ განხორციელებული ნებისმიერი მოქმედება (შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, ვიდეო აუდიო ჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება, გადაცემა, გასაჯაროება, დაბლოკვა, წაშლა, განადგურება.

მონაცემთა დამუშავების ფორმა:

- ავტომატური - ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით
- ნახევრადავტომატური -ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და არაავტომატური საშუალებების გამოყენება ერთად.
- არაავტომატური - მონაცემთა ბაზაში შეტანის მიზნით

მონაცემთა დამმუშავებელი

მონაცემთა დამმუშავებელი
ნებისმიერი საჯარო დაწესებულება, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც:

- პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს დამოუკიდებლად ან უფლებამოსილი პირის საშუალებით;
- ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების მიზნებს და საშუალებებს;
- უშუალოდ ან უფლებამოსილი პირის მეშვეობით ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას.

უფლებამოსილი პირი

მონაცემთა დამუშავებაზე **უფლებამოსილი პირი** პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს მონაცემთა დამმუშავებლისათვის ან მისი სახელით.

უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების ფარგლები განისაზღვრება:

- სამართლებრივი აქტით
- ხელშეკრულებით

ინფორმაციისთვის

- www.personaldata.ge

- www.facebook.com/DPAGeorgiaOfficial

გმადლობთ ყურადღებისთვის!